„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ განახორციელა წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა მიერ ხმის მიცემის მონიტორინგი

- **2 152 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან კონსტიტუციური უფლების რეალიზება – საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება – მხოლოდ 149-მ (7%-მა) შეძლო**
- **კენჭისყრის დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებები გადაყვანილი იყო ყაზარმულ რეჟიმზე**

თბილისი, საქართველო - 2008 წლის 5 იანვარს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ განახორციელა წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა მიერ ხმის მიცემის პროცედურების მონიტორინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით სასჯელაღსრულების რვა დაწესებულებაში. საქართველოს კანომდებლობით წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. ისევე როგორც ყველა სხვა ამომრჩეველმა, ბიულეტენ(ებ)ის მისაღებად მათ საარჩევნო კომისიის შესაბამის წევრებს უნდა წარუდგინონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი).

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დამკვირვებლებმა წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა მიერ ხმის მიცემის მონიტორინგი განახორციელეს შემდეგ დაწესებულებებში: კრწანისის პირველ საპყრობილეში, კრწანისის მეხუთე იზოლატორში და ციხის საავადმყოფოში, გლდანის მერვე საპყრობილეში, ისნის ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, ზუგდიდის მეოთხე საპყრობილეში, ხელვაჩაურის მესამე საპყრობილეში და ქუთაისის მეორე საპყრობილეში.

წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა საერთო რაოდენობა რვავე დასახელებულ დაწესებულებაში 2 152 იყო. როგორც მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, არჩევნების დღეს მათგან პირადობის დამადასტურებელი საბუთი ჰქონდა მხოლოდ 149-ს და შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ 149 წინასწარ პატიმრობაში მყოფმა პირმა შესძლო. სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის განმარტებით, ზოგიერთ მათგანს პირადობის დამადასტურებელი საბუთები თავიანთ სახლებში ჰქონდათ, ზოგის საბუთები კი მათ პირად საქმეებში ინახებოდა პროკურატურაში. შედეგად, 2152 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან ხმა მისცა მათმა მხოლოდ 7%-მა, რადგან პირადობის დამადასტურებელი საბუთები თან მხოლოდ ამ 7%-ს ჰქონდა. დანარჩენმა 93%-მა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო.

წინასწარ პატიმართა მიერ ხმის მიცემის პროცესში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პროცედურული დარღვევები არ დაუფიქსირებია, გარდა კრწანისის ოლქში მდებარე პირველი საპყრობილისა, სადაც ოთხმა პირმა ხმა პირადობის დამადასტურებელი

“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” საარჩევნო პროექტებს
ახორციელებს ევროპის კომისიისა და “შვეიცარიის განვითარებისა და
თანამშრომლობის სააგენტოს” ფინანსური მხარდაჭერით

ამ განცხადებაში გამთქმული მოსაზრებები ეკუთვნის
“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს”
და არ გამოხატავს დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

საბუთების წარდგენის გარეშე მისცა, თუმცა ამ ამომრჩევლებთან მიმართებაში უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ მათ შეეზღუდათ კონსტიტუციური უფლება – მონაწილეობა მიეღოთ პრეზიდენტის არჩევაში. ამ პრობლემის გადაჭრა საკმაოდ მარტივად შეიძლებოდა წინასაარჩევნო პერიოდში, თუ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს შეატყობინებდნენ, რომ ხმის მისაცემად მათ დასჭირდებოდათ პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა და მისცემდნენ საშუალებას, ოჯახის წევრებისთვის ეთხოვათ, რომ კენჭისყრის დღემდე მიეწოდებინათ მათთვის ეს საბუთები, ხოლო იმ პირებთან მიმართებაში, რომელთა საბუთებიც პროკურატურაში ინახებოდა, შესაბამის გამომძიებლებს სთხოვდნენ, რომ ეს საბუთები დროებით დაებრუნებინათ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის. სამწუხაროდ, იუსტიციის სამინისტრომ და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებისთვის მზადების პროცესში ამ პრობლემას სათანადო ყურადღება არ მიაქციეს.

წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა მიერ ხმის მიცემის მონიტორინგთან ერთად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დამკვირვებლებმა განახორციელეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლების მიერ ხმის მიცემის პროცესის მონიტორინგიც. როგორც მონიტორინგმა ცხადყო, კენჭისყრის დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებები გადაყვანილი იყო ყაზარმულ რეჟიმზე და შესაბამისად, მათი თანამშრომლები ხმას აძლევდნენ ამ დაწესებულებებში და არა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ის თანამშრომლებიც კი, რომლებიც კენჭისყრის დღეს არ მორიგეობდნენ, ხმის მისაცემად სამსახურებში/სამსახურებთან განთავსებულ უბნებში უნდა მისულიყვნენ. ასეთ საარჩევნო უბნებში მიხეილ სააკაშვილმა ჯამში ხმების 92.2% მიიღო.

კენჭისყრის შედეგები სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიხედვით

ქვემოთ მოცემულია კენჭისყრის შედეგები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და ასევე, იმ ოლქებისთვის, სადაც ეს დაწესებულებები იყო განთავსებული:

კრწანისის პირველი საპყრობილე			**კრწანისის მეხუთე იზოლატორი**			**კრწანისის ოლქის შედეგები**	
კანდიდატები	**ხმები**		**კანდიდატები**	**ხმები**		**კანდიდატები**	**ხმები**
1. გაჩეჩილაძე	34 (9%)		1. გაჩეჩილაძე	42 (6%)		1. გაჩეჩილაძე	28.25%
2. პატარკაციშვილი	5		2. პატარკაციშვილი	6		2. პატარკაციშვილი	6.29%
3. გამყრელიძე	5		3. გამყრელიძე	5		3. გამყრელიძე	3.95%
4. ნათელაშვილი	6		4. ნათელაშვილი	20		4. ნათელაშვილი	5.51%
5. სააკაშვილი	347 (94%)		5. სააკაშვილი	585 (88%)		5. სააკაშვილი	50.76%
6. მაისაშვილი	1		6. მაისაშვილი	4		6. მაისაშვილი	0.99%
7. სარიშვილი	0		7. სარიშვილი	0		7. სარიშვილი	0.13%
საერთო რაოდენობა	368						

“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” საარჩევნო პროექტებს
ახორციელებს ევროპის კომისიისა და “შვეიცარიის განვითარებისა და
თანამშრომლობის სააგენტოს” ფინანსური მხარდაჭერით

ამ განცხადებაში გამთქმული მოსაზრებები ეკუთვნის
“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს”
და არ გამოხატავს დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

ქუთაისის მეორე საპყრობილე			ქუთაისის ოლქის შედეგები	
კანდიდატები	**ხმები**		**კანდიდატები**	**ხმები**
1. გაჩეჩილაძე	17 (4.6%)		1. გაჩეჩილაძე	30.63%
2. პატარკაციშვილი	6		2. პატარკაციშვილი	4.39%
3. გამყრელიძე	3		3. გამყრელიძე	7.96%
4. ნათელაშვილი	3		4. ნათელაშვილი	8.19%
5. სააკაშვილი	335 (92%)		5. სააკაშვილი	44.16%
6. მაისაშვილი	0		6. მაისაშვილი	1.81%
7. სარიშვილი	0		7. სარიშვილი	0.19%
საერთო რაოდენობა	364			

ხონის სასჯელაღსრულების დაწესებულება			ხონის ოლქის შედეგები	
კანდიდატები	**ხმები**		**კანდიდატები**	**ხმები**
1. გაჩეჩილაძე	6 (4%)		1. გაჩეჩილაძე	17.76%
2. პატარკაციშვილი	1		2. პატარკაციშვილი	1.81%
3. გამყრელიძე	3		3. გამყრელიძე	4.06%
4. ნათელაშვილი	1		4. ნათელაშვილი	4.36%
5. სააკაშვილი	139 (92.6%)		5. სააკაშვილი	70.05%
6. მაისაშვილი	0		6. მაისაშვილი	0.30%
7. სარიშვილი	0		7. სარიშვილი	0.13%
საერთო რაოდენობა	150			

ხელვაჩაურის საპყრობილე			ხელვაჩაურის ოლქის შედეგები	
კანდიდატები	**ხმები**		**კანდიდატები**	**ხმები**
1. გაჩეჩილაძე	31 (13%)		1. გაჩეჩილაძე	23.13%
2. პატარკაციშვილი	3		2. პატარკაციშვილი	19.93%
3. გამყრელიძე	0		3. გამყრელიძე	1.81%
4. ნათელაშვილი	1		4. ნათელაშვილი	7.04%
5. სააკაშვილი	203 (85.2%)		5. სააკაშვილი	42.65%
6. მაისაშვილი	0		6. მაისაშვილი	0.28%
7. სარიშვილი	0		7. სარიშვილი	0.15%
საერთო რაოდენობა	238			

წყალტუბოს მერვე სასჯელაღსრულების დაწესებულება			წყალტუბოს ოლქის შედეგები	
კანდიდატები	**ხმები**		**კანდიდატები**	**ხმები**
1. გაჩეჩილაძე	2 (1%)		1. გაჩეჩილაძე	19.08%
2. პატარკაციშვილი	1		2. პატარკაციშვილი	3.56%
3. გამყრელიძე	3		3. გამყრელიძე	4.60%
4. ნათელაშვილი	1		4. ნათელაშვილი	6.40%
5. სააკაშვილი	176 (96.1%)		5. სააკაშვილი	63.43%
6. მაისაშვილი	0		6. მაისაშვილი	0.72%

“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” საარჩევნო პროექტებს
ახორციელებს ევროპის კომისიისა და “შვეიცარიის განვითარებისა და
თანამშრომლობის სააგენტოს” ფინანსური მხარდაჭერით

ამ განცხადებაში გამთქმული მოსაზრებები ეკუთვნის
“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს”
და არ გამოხატავს დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

7. სარიშვილი	0		7. სარიშვილი	0.17%
საერთო რაოდენობა	183			

ზუგდიდის მეოთხე საპყრობილე			ზუგდიდის ოლქის შედეგები	
კანდიდატები	**ხმები**		**კანდიდატები**	**ხმები**
1. გაჩეჩილაძე	6 (0.9%)		1. გაჩეჩილაძე	13.64%
2. პატარკაციშვილი	3		2. პატარკაციშვილი	2.91%
3. გამყრელიძე	3		3. გამყრელიძე	2.84%
4. ნათელაშვილი	1		4. ნათელაშვილი	3.38%
5. სააკაშვილი	640 (97.8%)		5. სააკაშვილი	69.18%
6. მაისაშვილი	1		6. მაისაშვილი	0.51%
7. სარიშვილი	0		7. სარიშვილი	0.13%
საერთო რაოდენობა	654			

“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” საარჩევნო პროექტებს
ახორციელებს ევროპის კომისიისა და “შვეიცარიის განვითარებისა და
თანამშრომლობის სააგენტოს” ფინანსური მხარდაჭერით

ამ განცხადებაში გამთქმული მოსაზრებები ეკუთვნის
“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს”
და არ გამოხატავს დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

გლდანში, ისანში და რუსთავში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიცემული ხმები დაითვალა არა ცალკე, არამედ სხვა (ახლოს მდებარე) უბნების შედეგებთან ერთად.

მონიტორინგის შედეგები სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიხედვით

<u>პირველი საპყრობილე, კრწანისის ოლქი, თბილისი:</u> ოთხმა წინასწარ პატიმრობაში მყოფმა პირმა ხმა მისცა პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენის გარეშე.

<u>მეხუთე იზოლატორი, კრწანისის ოლქი, თბილისი:</u> რეგისტრირებული 233 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან პირადობის დამადასტურებელი საბუთი ჰქონდა მხოლოდ ერთს, მაგრამ ის არ იყო ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში და შესაბამისად, მეხუთე იზოლატორში კენჭისყრა არ ჩატარებულა.

<u>ციხის საავადმყოფო, კრწანისის ოლქი, თბილისი:</u> რეგისტრირებული 32 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან პირადობის დამადასტურებელი საბუთი ჰქონდა მხოლოდ ერთს. ამ ამომრჩეველმა უარი განაცხადა ხმის მიცემაზე. შესაბამისად, ციხის საავადმყოფოში კენჭისყრა არ ჩატარებულა.

<u>ქალთა და არასრულწლოვანთა მეხუთე საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება, ისნის ოლქი, თბილისი:</u> რეგისტრირებული 105 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან პირადობის დამადასტურებელი საბუთი ჰქონდა მხოლოდ 20-ს და შესაბამისად, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 20-მა პირმა.

<u>მერვე საპყრობილე, გლდანის ოლქი, თბილისი:</u> ამ დაწესებულებაში გახსნილი იყო ორი საარჩევნო უბანი, 108-ე (468 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი) და 109-ე (542 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი). პირადობის დამადასტურებელი საბუთი ჰქონდა მხოლოდ 45 წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს და შესაბამისად, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 45-მა ამომრჩეველმა (1 010-დან).

<u>მეოთხე საპყრობილე, ზუგდიდის ოლქი, სამეგრელო:</u> რეგისტრირებული 218 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან პირადობის დამადასტურებელი საბუთი არც ერთს არ ჰქონდა და შესაბამისად, მეოთხე საპყრობილეში კენჭისყრა არ ჩატარებულა.

<u>მესამე საპყრობილე, ხელვაჩაურის ოლქი, აჭარა:</u> რეგისტრირებული 322 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან პირადობის დამადასტურებელი საბუთი ჰქონდა მხოლოდ 63-ს და შესაბამისად კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 63-მა პირმა.

<u>მეორე საპყრობილე, ქუთაისის ოლქი, იმერეთი</u>: რეგისტრირებული 274 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან პირადობის დამადასტურებელი საბუთი ჰქონდა მხოლოდ 22-ს და შესაბამისად, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა პირმა.

<u>მეორე საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება, რუსთავის ოლქი, ქვემო ქართლი:</u> ამ დაწესებულებაში წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები არ იყვნენ. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ თანამშრომლებმა.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო'' საარჩევნო პროექტებს ახორციელებს
ევროპის კომისიისა და ''შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს'' ფინანსური
მხარდაჭერით

ამ განცხადებაში გამთქმული მოსაზრებები ეკუთვნის
''საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს''
და არ გამოხატავს დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

<u>მერვე საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება, წყალტუბოს ოლქი, იმერეთი:</u> ამ დაწესებულებაში წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები არ იყვნენ. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ თანამშრომლებმა.

<u>მეცხრე საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება, ხონის ოლქი, იმერეთი:</u> ამ დაწესებულებაში წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები არ იყვნენ. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ თანამშრომლებმა.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო'' საარჩევნო პროექტებს ახორციელებს
ევროპის კომისიისა და ''შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს'' ფინანსური
მხარდაჭერით

ამ განცხადებაში გამთქმული მოსაზრებები ეკუთვნის
''საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს''
და არ გამოხატავს დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra